რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი. მეორე მიმართულებაა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს რისკების მართვა და ადრეული გამოვლენა, რომელსაც "გამარჯვებულ ქალთა კლუბის" თანამშრომლობის მეშვეობით ან/და ხელშეწყობით ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრი განახორციელებს. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობის ქალთა ჰოპლაციაში მნიშვნელოვნად იმატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობამ. ამასთან დადასტურებული ფაქტია, რომ დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის საშუალებას მხოლოდ რეგულარული სკრინინგი იძლევა. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევაში, არ ახდენს გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხზე, ხასიათდება გადარჩენადობის მეტად მაღალი პროცენტით. ქალთა ჰოპლაციაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის და ადრეული გამოვლენის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ 25 -დან 70 წლის ჩათვლით მაღალი რისკის მქონე ქალებს; ასაკობრივი ჯგუფის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალბატონებს, მათ შორის დევნილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს რომელთა მიწერის ადგილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.სკრინინგის პროგრამა მოიცავს რამოდენიმე ეტაპს:1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოვლენა;2 ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოვლენის შედეგად კვანძის აღმოჩენის შემთხვევაში ენდოკრინოლოგის კონსულტაცია;3 ექოსკოპიურად ავთვისებიანობაზე საექმო კვანძის არსებობის შემთხვევაში თირეოტროპული ჰორმონის (TSH) განსაზღვრას სისხლში;4 ჩვენების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღება ბიოფსიური მასალის შემდგომი ციტოლოგიურ კვლევით; კვანძოვანი პათოლოგიის არ არსებობის შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კვანძოვანი პათოლოგიის არსებობის შემთხვევაში სკრინინგ პროგრამით განმეორებითი კვლევების სიხშირეს განსაზღვრავს ენდოკრინოლოგი - 3, 6 ან 12 თვეში ერთხელ.ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ან კიბოსწინა დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში მოქალაქე გადამისამართდება სპეციალიზირებულ პროფილურ დაწესებულებაში.

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამაში

- 1.სულ მონაწილეობა მიიღო 698 პაციენტმა
- 2.განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	მონაწილეთა რიცხვი
26-30 წწ	22
31-35 წწ	42
36-40 წწ	61
41-45 წწ	65
46-50 წწ	99
51-55 წწ	118
56-60 წწ	106
61-65 წწ	103
66-70 წწ	82

3.პროგრამაში ჩართვა კრიტერიუმების მიხედვით:

ოჯახური ანამნეზი	324
იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში	5
ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის	62

კეთილთვისებიანი დაავადება; დადასტურებული დოკუმენტით	
E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; დადასტურებული დოკუმენტით	42
E65-E68 - სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები	203
E70- E90- მეტაბოლური დარღვევები	297
სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო	34
კისრის ლიმფადენოპათია	0
ორალური კონტრაგეპტივების მოხმარება	0

4. ჩატარებული კვლევები

ფარისებრივი ჯირკვლის ულტრაბერითი გამოკვლევა	698
ენდოკრინოლოგის კონსულტაცია	688
TSH	636

ჯამურად, 2025 წლის სამი კვარტალის განმავლობაში, კვლევები ჩაატარა 698 პაციენტმა, 123 პაციენტს დანიშნული აქვს 3 თვიანი მონიტორინგი, 87 პაციენტს 6 თვიანი მონიტორინგი. 55 პაციენტი გადამისამართდა მდგომარეობის სირთულის გამო ციტოლოგიურ კვლევაზე, მათგან 15-მა ჩაატარა ციტოლოგიური კვლევა, 40 პაციენტისთვის კი დაგეგმილია ციტოლოგიური კვლევა. პროგრამიდან გახარჯულია 53000 ლარი.

11. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1500 ლარის ოდენობით. პროგრამიდან გახარჯულია 1500 ლარი პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა. ქალი 1.

12. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50 000 ლარით. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა. საიდანაც 14 ქალი 13 კაცი. პროგრამიდან გახარჯულია 32300 ლარი. პროგრამის განხორციელებით პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობას ხელი შეეწყო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

13. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5000 ლარით. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. პროგრამიდან გახარჯულია 3400 ლარი, თანხა გაიცა 7 უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე. 2 ქალი, 5 კაცი.

14. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 40 000 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და

ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საკვები პროდუქტებისა და ტბილულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის.

საშემე მერქნის შესაძენად 47 ბენეფიციარზე გაიცა ფინანსური დახმარება, პროგრამის განხორციელებით განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. მოსარგებლებიდან 5 კაცი, 42 ქალი.

ასევე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მზრუნველობამოვლელთათა უფასო სასადილოს ბენეფიციარებისათვის (80 ბენეფიციარს) და შეჭირვებულ 300(სამასი) ოჯახს გადაეცა საკვები პროდუქტები. პროგრამიდან - გახარჯულია 24935ლარი. პროგრამის განხორციელებით განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. მზრუნველობამოვლელთათა უფასო სასადილოს ბენეფიციარების და შეჭირვებული ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარება.

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35000 ლარით, ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურევში. პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა გოგო 18 ბიჭი 9. რაზედაც შემოსულია შესრულება მიმდინარე წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით პროგრამიდან - გახარჯულია 9000 ლარი შესრულება შემოსულია 17000 ლარზე.

16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 120000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით სარგებლობს 103 ბენეფიციარი. საიდანაც 52 არის რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ხოლო 51 ბავშვი არის ადრეული განვითარების პროგრამის მოსარგებლე პროგრამიდან დაფინანსდა სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამიდან გახარჯულია 73084 ლარი. პროგრამის განხორციელებით შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო მკურნალობის ჩატარებაში. ხელი შეეწყო ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას. მოსარგებლებიდან გოგო 36, ბიჭი 67.

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მიერ. პროგრამის ბიუჯეტი 4000 ლარი. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური

დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. პროგრამიდან გახარჯულია 4000 ლარი, პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. კალი 4.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი, პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა პროგრამიდან გახარჯულია 2000 ლარი. პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეუწყო ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კალი 2 კაცი 3.

19. მიზნობრივ ალზრდამი განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია- ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 7000 ლარი, პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მიზნობრივ ალზრდამი განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს არ განხორციელებულა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რეინტეგრაცია- ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება. დღის მდგომარეობით ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვების რეინტეგრაციასთან დაკავშირებით ტრეფიკინგის სააგენტოს მუნიციპალიტეტისათვის არ მოუმართავს . პროგრამიდან გახარჯულია 0

20. 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და მშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3500 ლარი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და მშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით პროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა ბიჭი 4 გოგო 3. პროგრამიდან გახარჯულია 3500 ლარი. პროგრამის განხორციელებით ხელი შეუწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21. ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის)კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 14400 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდერითი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, 18 წლამდე ასაკის ცელიაკით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში 400 ლარი. პროგრამით სარგებლობს 3 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 10600 ლარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების საკვებზე ხელშეწყობას. პროგრამით სარგებლობს 1 გოგო

22. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 155000 ლარი, პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 და F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტი სათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 500 (ხუთასი) ლარისა. პროგრამიდან გახარჯულია 122385 ლარი. პროგრამით ისარგებლა 40 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით ხორციელდება მშპ ბავშვების მუვრნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა. გოგო 9 ბიჭი 31.

23. რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია 50000 ლარი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ რეგისტრირებული რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახები, რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პირობები არსებობს ძალადობის მაღალი რისკი; (უგულვლყოფილია ბავშვის უფლებები, ბავშვი ვერ იღებს განათლებას; არ აქვს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ბავშვი განიცდის ფიზიკურ ან/ და ფსიქოლოგიურ ძალადობას) ოჯახს გაეწევა დახმარება საჭიროების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბავშვის სოციალური მუშაკის და ტრეფინგის მხვერვლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკის შეფასების/დასკვნის გათვალისწინებით. ბენეფიციარს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს გაეწევა როგორც ფინანსური (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება) ასევე არაფინანსური (სწავლება/გადამზადება, ფსიქოლოგიის დახმარება, ადვოკატირება) დახმარება ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 7000 (შვიდიასი) ლარამდე. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების მიზნით მერიის ბავშვის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მშობლების მერჩევა მათი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, განხორციელდება ე.წ. „პოზიტიური მშობლის“ პროგრამა. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ბავშვის ასაკობრივი კრიზისების დაძლევაზე და ა.შ. განხორციელდება მშობლებისთვის ცნობიერების ამაღლება. მუნიციპალიტეტი „პოზიტიური მშობლის“ სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამიდან გახარჯულია 10000 ლარი. პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაიცა 2 ოჯახზე. ხელი შეეწყო 2 ოჯახის გაძლიერებას. ოჯახებში ბავშვების რაოდენობა იყო სულ 5, საიდანაც გოგონა 4 და ბიჭი 1 სოციალური მუშაკის მიერ აღნიშნულ ოჯახებში პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი.

24. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა. პროგრამის მიზანია მშპ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. პერსონალური ასისტენტების სამუშაოებით; პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მომსახურების მიმღები პირისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული

მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურაქტიულობაში. პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროსმიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასებისსაფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტენტის ტიპი. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობაზე სამი კვარტლის მდგომარეობით შემოსულია 24 განაცხადი რომლებიც შეფასებისთვის (რეგულარული/ სპეციალიზირებული ასისტირება) გადაეგზავნა მზს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ საიდანაც 23 ბენეფიციარზე მოვიდა დადებითი შეფასება. დღეის მდგომარეობით მომსახურებას ღებულობს 13 ბენეფიციარი. მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიმდინარე წლის 07 აგვისტოს წერილით სახელმწიფოსგან გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი 100000 ლარი. სამი კვარტლის მდგომარეობით გახარჯულია (მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი და მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი) ჯამში 31965 ლარი.

სამსახურის მიერ მომზადდა 724 ადმინისტრაციული დაპირება. სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით მომზადდა მერის მიერ გამოსაცემი 906 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. სრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ გამოსაცემი 4 ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტი. 190 სამსახურეობრივი ბარათი. ასევე სამსახურში შემოსულ 1970 განცხადებასა და წერილზე მომზადდა პასუხები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება დაიწყო 4 ოჯახის გაძლიერების და მხარდაჭერი მომსახურებების მიწოდების მიზნით. სოციალურად და ეკონომიურად მოწყვლად ოჯახებში პრობლემის განსაზღვრის და საჭიროების შეფასების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერი ინსტრუქციის თანახმად მომზადდა 9 სკრინინგის დოკუმენტი (სულ 9 ბავშვი აქედან: 2 ბიჭი და 7 გოგო) რის საფუძველზეც გაგრძელდა სოციალური მუშაობა - ბავშვის/ების და ოჯახების შეფასება, მონიტორინგი და კონსულტირება ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით გაწერილ საჭირო აქტივობებზე, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით - ადვოკატირება სამედიცინო დაწესებულებებთან, განათლების ხელმისაწვდომობის და ბავშვის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით - კოორდინირებული მუშაობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ადვოკატირება, საჭირო დოკუმენტების მომზადება, ბავშვის ოჯახურ გარემოში შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით ოჯახის მხარდაჭერა და გაძლიერება, სოციალური სერვისების მიწოდება და განვითარება. 2025 წლის 3 კვარტალში განხორციელდა 2024 და 2025 წლების ქისებზე მონიტორინგი.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას იდენტიფიცირებული ყავს რადენიმე ოჯახი, მიმდინარეობს შესწავლა, საჭიროების გამოკვეთა მათი შემდგომი გაძლიერების და მხარდაჭერი მომსახურებების მიწოდების მიზნით. ასევე იდენტიფიცირებული იქნა ბავშვიანი ოჯახი, მშობელს გაეწია კონსულტაცია და გადამისამართდა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, სტატუსის დადგენის მიზნით. მუნიციპალიტეტის მერიამ ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გაუწია ფინანსური დახმარება. ასევე მშობელს გაეწია კონსულტაცია არასრულწლოვანის ინდივიდუალური სასწალო გეგმით საჭიროების შესახებ, რის შემდეგაც გადამისამართდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სკოლას მიმართა განცხადებით არასრულწლოვნის შეფასების მიზნით.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მონიტორინგს

მიზნით დაუკავშირდა იმ ბავშვიან ოჯახებს, რომელთა შვილები საჭიროებდნენ პირველი კლასში რეგისტრაციას, საჭიროების მიხედვით გაეწიათ კონსულტაცია და ადვოკატირება შესაბამის უწყებებთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის N1 დადგენილებით ინიცირებულ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, მრავალშვილიანი ოჯახების გასახლების მიზნობრივ პროგრამაში ჩართვის მიზნით ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, დოკუმენტაციის მოწესრიგება და შუამდგომლობა.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გურიის რეგიონალური ცენტრიდან რეინტეგრირებულ/ ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვების დაბრუნების შესახებ წერილი არ შემოსულა, შესაბამისად „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამიდან“ ფინანსური დახმარება არ გაეცემულა.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გურიის რეგიონალური ცენტრიდან ერთ ოჯახს გაეწია ადვოკატირება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის მიზნით. ასევე ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ინიციატივით საკვები პროდუქტებით გაეწია დახმარება 3 ოჯახს (8 ბავშვს.)

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან შემოსულ 48 წერილ/ განცხადებაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვათა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება მ/წლის მარტის თვეში ჩართული იყო სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე, კერძოდ მოსახლეობის საკვები პროდუქტით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით.

2022 წლის 17 თებერვლიდან საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების ფარგლებში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით. ამ დადგენილების შესაბამისად მომზადდა შესაბამისი რეესტრი ვაკანსიებზე დანიშნული ბენეფიციარების შესახებ, მატერიალური სახით გაუფორმდა ხელშეკრულება 392 მოქალაქეს, ეტაპობრივად მიმდინარეობს საქმისწარმოება ბენეფიციარების დასაქმებასთან დაკავშირებით, ყოველთვიურად ხდება პროგრამულად ნამუშევარი დღეების მეტანა სისტემაში.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
გადამხედველობის სამსახური



წერილის ნომერი: 06-302529314
თარიღი: 20/10/2025

აღსაქმე

როლანდ ლაშია
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის
2025 წლის 9 თვის ანგარიში.

ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, თუნქიებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-საამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე, დადგენილი ორგანიზაციულ სამართლებრივი წესრიგის დაცვის მიმართებით სამსახურმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და საამშენებლო კოდექსი“ მიხედვით შეადგინა შემოწმების 15 აქტი. გადახდილი ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა 11 800(თერთმეტიათასირვაასი) ლარი, ასევე სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 19 ობიექტი.

სამსახურის მიერ განხორციელდა ზედამხედველობა და მონიტორინგი ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით შესრულებულ ობიექტებზე, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაზე.

ხორციელდება სისტემატური კონტროლი პოლიციის თანამშრომლებთან ერთად როგორც ქალაქში ასევე ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ გარე ვაჭრობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა შესრულებაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული კორდინატების მიხედვით ადგილზე
შესწავლილი იქნა ქვიშა-ღორღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობა.

თენგიზ ხელაძე

ზედამხედველობის სამსახური-სამსახურის უფროსი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
„კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“

2800 ლანჩხუთი ნინოშვილის ქ. N37 ტ. 591-22-27-29

N 174

20.10. 2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ: ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში.

დანართი: 8 ფურცლად

ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს
დირექტორი:

 / გ. მოქია/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის
2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების

ანგარიში

03 01 დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. რომელსაც ემსახურება 34 მეუბოვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1050 ურნა, ყოველდღიური დასუფთავების შედეგად მუნიციპალიტეტიდან გადის 70 მ³ ნარჩენის გატანა ხორციელდება 12 ნაგავმზიდის მეშვეობით და 2 ერთეული სატვირთო (ნაგავმზიდი) ზარის პრინციპით კვირაში 2 ჯერ, ფოთის, სამტრედიის, ურეკის და ოზურგეთის (მერის) ნაგავსაყრეზე.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული სკვერების დაგვა-დასუფთავება. ქალაქისა და სოფლების აღჭურვა სანაგვე კონტეინერებით. ქალაქის ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. განსაკუთრებული ინტენსივობით ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა საკურორტო სეზონის დროს. ნაგავსაყრელზე 2025 წელს II-ე კვარტლის მდგომარეობით შეტანილი იქნა 12185 კბ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, აღდგენილი იქნა 88 ცალი 1.1 კუბ.მ მოცულობის სანაგვე ურნა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ემსახურება 12 ერთეული ნაგავმზიდი და 2 ერთეული სატვირთო (ნაგავმზიდი) სატრანსპორტო საშუალება.

	დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა			2025 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
0301	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1960880	1860880	38982.9	1747361	1747361	12806.6	89.1	89.1	32.9

ქვეპროგრამის ფარგლებში 9 თვის გეგმა შეადგენს - 1960880 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 1747361 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა 236745 ლარი, გახარჯულია - 213790 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 954035 ლარი, გახარჯულია - 953449 ლარი;
- მივლინების ხარჯი გეგმა - 2500 ლარი, გახარჯულია - 270 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 75100 ლარი, გახარჯულია - 71441 ლარი;
- რბილი ინვენტარი ხარჯი გეგმით - 5000 ლარი, გახარჯულია - 3176 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი გეგმით - 500 ლარი, გახარჯულია - 0 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 622000 ლარი, გახარჯულია - 477373 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 30000 ლარი, გახარჯულია - 14648 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 35000 ლარი, გახარჯულია - 13214 ლარი;

საკუთარი სახსრების 9 თვის ნაშთი შეადგენს - 20114 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 12806,6 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 20114 ლარი, გახარჯულია - 12806,6 ლარი;

02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში).

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;

- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;

- ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. გარე განათების განყოფილება ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ სოფლის 347 მრიცხველის 8350 ერთეული სანათი მოწყობილობას, ხოლო ქალაქის ტერიტორიაზე 6750 სანათი მოწყობილობას. სამსახურის მიერ შეცვლილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები. ქსელის ექსპლოატაციას ემსახურება ორი ერთეული ამწე კალათა.

	დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა			2025 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
0203001	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	241760	241760		186305	186305		77,1	77,1	

ქვეპროგრამის ფარგლებში 9 თვის გეგმა შეადგენს 241760 ლარს, საიდანაც გახარჯულია 186305 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა - 23285 ლარი, გახარჯულია - 23285 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 77225 ლარი, გახარჯულია - 77178 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით - 7325 ლარი, გახარჯულია - 37671 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 33750 ლარი, გახარჯულია - 19581 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქმელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 36000 ლარი, გახარჯულია - 28589 ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის მიერ საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში გასუფთავდა და

კეთილმოეწყო როგორც ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიები. გაიწმინდა სარეველა ბალახებისა და ეკალ-ბარდისაგან მრავალწლიანი ხე-მცენარეები, ხოლო მარადმწვანე ბუჩქები (ტუიები, ემანიუსები) გაისხლა და გაიკრიჭა. ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო უნიკალური მრავალწლიანი დეკორატიული მწვანე ნარგავები, ხოლო 7500 (შვიდიათასხუთასი) ერთწლიანი კულტურა. ქალაქის მთელ ტერიტორიაზე კირიანი ხსნარით შეთეთრდა 500-ზე მეტი ხე.

სისტემატიურად ხდებოდა პარკებში არსებული მწვანე საფარისა და სხვადასხვა კულტურების რწყვა და მინერალური სასუქებით განოყიერება. ბილიკების გათავისუფლება სარეველა ბალახებისაგან გარდა სათიბი აპარატისა ხდებოდა მხამ-ქიმიკატებით. ქალაქის მასშტაბით სპეციალურ დადგენილ ნორმებში ხორციელდება სანიტარულ გამოსწორვითი ჭრები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლამისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე, დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან. ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების შეწამვლითი და გაცელვითი სამუშაოები.

	დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა			2025 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
0302	კეთილმოეწყობისა და მომსახურების ცენტრი	247365	247365		239441	239441		96,8	96,8	

ქვეპროგრამის ფარგლებში 9 თვის გეგმა შეადგენს 247365 ლარს, საიდანაც გახარჯულია 239441 ლარი.

- შრომის ანაზღაურება გეგმა -36315 ლარი, გახარჯულია - 36140 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმა - 190400 ლარი, გახარჯულია -188450 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით -4700 ლარი, გახარჯულია - 2447 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით -3750 ლარი, გახარჯულია - 1973 ლარი;

- ოფისის ხარჯი გეგმით - 5975 ლარი, გახარჯულია - 2223 ლარი;
- ტრანსპორტისა და მოვლა შენახვის ხარჯი გეგმით - 2550 ლარი, გახარჯულია - 1518 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 37500 ლარი, გახარჯულია - 10850 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ხარჯი გეგმით - 30000 ლარი, გახარჯულია - 6760 ლარი;

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

ა(ა)იკ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში ჩატარდა უმეტესაღმრთოდ დარჩენილი მიუსაფარი ძაღლების მონიტორინგი. დაჭერილი იქნა 29 სული ძაღლი, რომლებიც არიან განსაკუთრებით აგრესიულები ადამიანების მიმართ და მოხდა მათი თავშესაფარში დროებით გადაყვანა და კვება.

	დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა			2025 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიება	15000	15000		8544	8544		57,0	57,0	

ქვეპროგრამის ფარგლებში 9 თვის გეგმა შეადგენს - 15000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 8544 ლარი.

- სხვა დანარჩენი საქნელი და მომსახურების ხარჯი გეგმით - 15000 ლარი, გახარჯულია - 8544 ლარი;

05 02 01 01 - კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ არის კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზანი და ამოცანებია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; კულტურული ღონისძიებათა ორგანიზება და გამართვა, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა საზეიმო, შემოქმედებითი და საქველმოქმედო ღონისძიება: მონაწილეობა მოვიღეთ კალანდობის დღესასწაულზე თბილისში, 9 აპრილის ღონისძიება, გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ლელო“, მონაწილეობა მივიღეთ სახალხო დღესასწაულ „ჩიბათობა“-ში, , დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, მოეწყო მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამოები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, მოეწყო „ბოლო ზარის“ ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება. მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში. გაიმართა წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება და ტრადიციად ქცეული ღონისძიება „ლანჩხუთობა“.

ათ.ლარი

	დასახელება	2025 წლის 9 თვის გეგმა			2025 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულება %-ში		
		გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები	გეგმა სულ	სახელმწიფო ფონდები	საკუთარი სახსრები
05020101	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	1256,8	1230,55	26,25	1172,0	1160,4	11,6	93,2	94,3	44,2

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 1256800 ლარს, საიდანაც გახარჯულია 1172023 ლარი, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - გეგმით - 413350 ლარი, გახარჯულია - 398201 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - გეგმით - 527450 ლარი, გახარჯულია - 522821 ლარი;
- მივლინება - გეგმით - 5000, გახარჯულია - 3980 ლარი;
- ოფისის ხარჯი - გეგმით - 76340 ლარი, გახარჯულია - 57426 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - გეგმით - 21000 ლარი, გახარჯულია - 19920 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი - გეგმით - 17350 ლარი, გახარჯულია - 10156 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქ. და მომსახურება გეგმით - 162750 ლარი, გახარჯულია - 142658 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - გეგმით - 60, გახარჯულია - 58 ლარი;
- არაფინანსური აქტივები - გეგმით - 33500 ლარი, გახარჯულია - 10985 ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით გვქონდა - 6118 ლარი.

2025 წელს საკუთარი შემოსავლების 9 თვის გეგმა შეადგენს - 26250 ლარს, შემოსულია - 11622 ლარი. გახარჯულია -11890 ლარი:

- შრომითი ანაზღაურება გეგმით-750 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- შრომითი ანაზღაურება (შტატგარეშე)-გეგმით-11500 ლარი,გახარჯულია-5441 ლარი;
- ოფისის ხარჯი გეგმით- 6000 ლარი, გახარჯულია -309 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით -1000 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი-გეგმით-60 ლარი,გახარჯულია-58 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით -2000 ლარი, გახარჯულია -0 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით-1000 ლარი, გახარჯულია - 5850 ლარი;
- არაფინანსური აქტივები გეგმით - 3500 ლარი, გახარჯულია -300 ლარი.

ანგარიშზე ნაშთის სახით 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩა - 5782 ლარი

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში.

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ ს/ნ (433655822) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლისა და 106¹ მუხლის საფუძველზე დაფუძნებული და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი).

კომპანიის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. კომპანიას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუქრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა კომპანიის წესდების შესაბამისად .

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში (მაკატეგორიის ავტობუსებით) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა. კომპანიის საკუთრებაშია 8(რვა) მუნიციპალური ავტობუსი (5(ხუთი) მოქმედი) და 2(ორი) JCB ექსკავატორი. კომპანიის ძირითად ხარჯს წარმოადგენს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებისათვის გათვალისწინებული მომსახურებები და საწვავით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები.

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ დარეგისტრირდა 2025 წლის 01 აპრილს, თუმცა ფუნქციონირება დაიწყო 1 მაისიდან, აღნიშნულის გათვალისწინებით ხუთი თვის გეგმა შეადგენდა 300 000 (სამასი ათასი) ლარს , საიდანაც გახარჯულია 243241 (ორასორმოცდასამიათას ორას ორმოცდაერთი) ლარი , მათ შორის:

- ხელფასის მუხლი გეგმით -30950 ლარი, გახარჯულია- 30566 ლარი.
- მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით- 87500 ლარი, გახარჯულია 87209 ლარი
- მივლინება გეგმით- 800 ლარი - გახარჯულია 480 ლარი.
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება გეგმით- 1000 ლარი, გახარჯულია 921 ლარი.
- სამედიცინო ხარჯი გეგმით -500 ლარი, გახარჯულია-0 ლარი.
- არათრანსპორტული აქტივების ზრდა გეგმით- 4750 ლარი, გახარჯულია 4346 ლარი.
- ტრანსპორტის ხარჯი გეგმით- 169500, გახარჯულია-115830 ლარი, რომელშიც არ შედის სექტემბრის თვის საწვავის ღირებულება. (18582.99 ლარი)
- ოფისის ხარჯი გეგმით-5000 ლარი, გახარჯულია-3889 ლარი.

ხუთი თვის განმავლობაში საკუთარი შემოსავლებიდან თანხა არის: 104089.90 ლარი, საიდანაც 24991.50 ლარი არის სადისპეჩერო მომსახურების გაწვევისთვის აუცილებელი ტრანსპორტის გაჩერების მოწყობის მიზნით ჩარიცხული თანხა, თანახმად ხელშეკრულებისა 16022024 26.03.2025. სს საქართველოს ბანკისგან.

5 თვის განმავლობაში საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული თანხა შეადგენს:

- ხელფასის მუხლი - 6272 ლარი
- მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი - 806 ლარი
- ოფისის მუხლი - 74 ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი -21 ლარი



ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

2800 ლანჩხუთი გვიმბალაური ტ. 551 09 00 10 ; 593 25 71 11

N 127

09 ოქტომბერი 2025 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა გიგზავნით
2025 წლის სექტემბრის თვის შესრულებას და III კვარტლის ანგარიშს.
დანართი ექვს ფურცლად.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საფეხბურთო სკოლის დირექტორი:

/ზაალ სანაძე/



ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

ლანჩხუთი მდინარაძის ქ.№1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობებისა და გადასახადების შესრულების ანგარიშის ფორმა

2025 წ. სექტემბრის თვის

	დასახელება	საკუთ. შემოსავლ	წლიური გეგმა	მუდმივი პერიოდის გეგმა (ნაზარდი დაშვებით)	საკასო შესრულება ნაზარდი ჯამით	მ.შ. თვის საკასო შესრულება
1	შემოსულობები (2+3+4)	58000	580438	638438	437093	46938
2	აღვნიშნული ბიუჯეტიდან მიღებული ხაზრები		574000	574000	384220	41574
3	სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		6438	6438	6438	
4	სხვა შემოსავლები და შემოსულობები	58000		58000	46435	5365
5	გადასახდელები (6+21+22+23)		580438	638438	437093	46938
6	ხარჯები (7+8+17+18+19+20)	58000	565218	623218	436943	46788
7	შრომის ანაზღაურება		96713	96713	72271	7985
8	საქონელი და მომსახურება (9+10+11+12+13+14+15+16)	54760	465505	520265	360262	37993
9	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	28760	367305	396065	289557	32793
10	მიწისფენები		7500	7500	4140	600
11	ოფისის ხარჯი		17900	17900	6166	1515
12	კვება		11000	11000	4719	
13	რბილი ინვენტარი	8000	5000	13000	7763	
14	სამედიცინო ხარჯები	4200	5300	9500	5569	1200
15	ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები	4000	21000	25000	13848	1085
16	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9800	30500	40300	28500	800
17	პროცენტი					
18	სუფსიდიები					
19	გრანტები					
20	სხვა ხარჯები	3240	3000	6240	4410	810
21	არაფინანსური აქტივების ზრდა		15220	15220	150	150
22	ფინანსური აქტივების ზრდა					
23	ვალდებულებების კლება					
24	ნაშთის ცვლილება		0	0	0	0
25	ზრდა				0	
26	კლება				0	
27	ბალანსი					
	წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი					0.00
	ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის					8000
	ბაჟშეთან/მოზარდთა რაოდენობა					4605
	მომუშავეთა რიცხოვნობა					200
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა					7
						38

[Handwritten signature]

ხელმძღვანელი

მთ.ბუღალტერი

